# შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმისათვის ავტორიზაციის გაუქმება დაუსაბუთებელია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ეხმაურება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 03 თებერვლის გადაწყვეტილებას, რომლითაც  შპს ,შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმს" ავტორიზაცია გაუუქმდა[1]. საია მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც სკოლას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას  გაუუქმდა ავტორიზაცია, ვერ აკმაყოფილებს დასაბუთებულობის სტანდარტს და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიაზაციის საბჭომ აშკარად შეუსაბამო და არათანაზომიერი გადაწყვეტილება მიიღო, რასაც შედეგად პირთა ჯგუფისათვის (მოსწავლეები, მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები) განათლების, შრომის და პიროვნული განვითარების დაუსაბუთებელი შეზღუდვა მოჰყვა.

საია-ს მიერ შესწავლილი დოკუმენტებით  ირკვევა, რომ სკოლას ავტორიზაცია 2015 წლის

04 სექტემბერს მიენიჭა. ავტორიზაციამდე სკოლაში მიმდინარეობდა თურქულ ენაზე არაფორმალური სწავლების პროცესი, მაგრამ ვინაიდან სწავლების ფორმატი არ იყო შესაბამისობაში ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, სკოლა  არ გასცემდა სახელმწიფოს მიერ აღიარებულ განათლების დამდასტურებელ დოკუმენტს. გამომდინარე აქედან, თურქულენოვანი სექტორის არსებობას სკოლის ფარგლებში არ ესაჭიროებდა სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი ნებართვა. მაგრამ ავტორიზაციის მინიჭებისას სკოლას მიეცა რეკომენდაცია თურქულენოვანი სექტორის გაუქმებისა და მოსწავლეების ქართულენოვან სექტორზე გადაყვანის შესახებ.  მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ჰქონდა უფლება არ გაეუქმებინა თურქულენოვანი სექტორი, მათ იხლემძღვანელეს ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციით და სკოლის დირექტორის გადაწყვეტილებით თურქულენოვანი სექტორი გაუქმდა.[2]

2015 წლის 25 დეკემბერს ავტორიაზაციის საბჭომ განიხილა შაჰინის სკოლა-ლიცეუმისათვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი, თუმცა, ექსპერტთა მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ავტორიზაციის საბჭომ ჩათვლა, რომ შაჰინის სახელობის სკოლა-ლიცეუმს თურქულენოვან სექტორში ჩარიცხულ მოსწავლეებთან დაკავშირებით პრობლემა გადაჭრილი ჰქონდა, ამიტომ,  სკოლის მიმართ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება ავტორიზაციის გაქუმების თაობაზე შეწყდა.

2017 წლის 20-22 იანვარს, სკოლაში განხორციელდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონიტორინგის ჯგუფის არაგეგმური ვიზიტი, რის შედეგადაც მომზადდა დასკვნა. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა დაახლოებით ერთი წლის წინ თურქულენოვან სექტორიდან მოსწავლეების ქართულ ენოვან სექტროზე ჩარიცხვის პროცესი დადებითად შეაფასა, ამჯერად აღნიშნული დარღვევად ჩაითვალა. ასევე, კანონის უხეშ გადაცდომად იქნა მიჩნეული მიმდინარე სასწავლო პროცესში 5 მოსწავლისათვის მოსწავლის სტატუსის შეუჩერებლობა, იმ მოტივით, რომ აღნიშნული მოსწავლეები არ მონაწილეობდნენ სასწავლო პროცესში. შესწავლილ დოკუმენტებზე დაყრდნობით საია მიიჩნევს, რომ ავტორიზაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება საბჭომ ისე მიიღო, რომ სრულყოფილად არ მომხდარა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა. მაგალითად, ავტორიზაციის საბჭომ არ გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ თურქულენოვან სექტორთან დაკავშირებით არსებითად ერთხელ ნამსჯელი ჰქონდა და არსებობდა შესაბამისი გადაწყვეტილება.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საბჭოს მიერ დარღვევებად მოყვანილი გარემოებები რეალურად არსებობს, დარღვევების ხასიათიდან გამომდინარე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ავტორიზაციის გაუქმება არ შეიძლება ადეკვატურ  და პროპორციულ ზომად მივიჩნიოთ[3].

სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების ფონზე, ჩნდება ეჭვები, მიღებული გადაწყვეტილება ხომ არ უკავშირდება რამდენიმე თვის წინ თურქეთის გენერალური კონსულის მიერ საჯაროდ გაკეთებულ განცხადებას. კერძოდ, თურქეთში მომხდარი გადატრიალების მცდელობის კომენტირებისას კონსულმა განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში მიმართავდა საქართველოს ხელისუფლებას სკოლის დახურვის მოთხოვნით[4].

თურქეთის დაინტერესებას, აღნიშნული სკოლის ფუნქციონირების შეწყვეტასთან მიმართებით ადასტურებს ისიც, რომ თურქული მხარე საქართველოსაგან მოითხოვს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის წარმომადგენლის, მუსტაფა ემრე ჩაბუქის ექსტრადირებას ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით. მისი თურქეთისათვის გადაცემის დასაბუთებისას თურქული მხარე მიუთითებს, რომ თურქეთში, და მის ფარგლებს გარეთ, დაარსებულია საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთაც კავშირი აქვთ ფეტულაჰ გიულენის სახელთან ასოცირებულ ორგანიზაცია FETO/PDY-თან, რომელსაც თურქეთი ტერორისტულ ორგანიზაციად მიიჩნევს და უკავშირებს 2016 წლის 15 ივლისს თურქეთში განვითარებულ მოვლენებს.

**საია განაგრძობს, აღნიშნულ ფაქტების შესწავლას და  პერიოდულად მიაწვდის საზოგადოებას დამატებით ინფორმაციას. საია ასევე მოუწოდებს ქართულ მხარეს,** მუსტაფა ემრე ჩაბუქის საექსტრადიციო პროცედურების განხილვისას იმოქმედოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და არ დაუშვას მისი თურქეთისათვის გადაცემა.

---

[1] http://eqe.gov.ge/res/docs/Oqmi_N10_25.12.2015.PDF;

http://eqe.gov.ge/res/docs/Oqmi_6_04.09.2015.PDF

http://eqe.gov.ge/res/docs/Oqmi_N1_03.02.2017.pdf

[2] http://www.eqe.ge/res/docs/Oqmi_N10_25.12.2015.PDF

[3] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერის N 99/ნ ბრძანების 31-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, ,,დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი საბჭო უფლებამოსილია, საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება”;

[4] http://batumelebi.netgazeti.ge/news/51743/#sthash.SQX4rzP0.dpbs